ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №191237

ნომერი: AR153377

თარიღი : 23.05.2012

გაცემის თარიღი : 30.05.2012

გაცნობის თარიღი : 30.05.2012

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ "ახმეტელის თეატრი"-ს მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვიქტორ ჯანგირაშვილი პ/ნ 01026011388
- თბილისი ზ.ფანასკერტელის ქ. კორ. 12 ბ. 42

ორგანიზაცია:
- ი/მ ვიქტორ ჯანგირაშვილი კოდი: B11163119

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის

არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

1. ნომენკლატურა არ არის შერჩეული სრულად. ახალი განცხადებით დარეგისტრირებისას თქვენს მიერ შერჩეულ ნომენკლატურებთან ერთად ("აბრებისა და რეკლამების განთავსება" და "შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება"), დამატებით უნდა შეარჩიოთ: "I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები" - "საჩრდილობლის მოწყობა" - ქმედებები "რეკონსტრუქცია".
2. მოთხოვნის ტექსტში დამატებით აღინიშნოს საკადასტრო გეგმის მიხედვით რომელ შენობა-ნაგებობას უტარდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები და ის გარემოება, რომ საპროექტო დავალებით ასევე გათვალისწინებულია საჩრდილობლის მონტაჟი.
3. ვინაიდან საპროექტო დავალებით სარეკლამო აბრის მოწყობასთან ერთად ეწყობა საჩრდილობელი და ხორციელდება არსებული კედლის შელესვა/შეღებვა, სარეკონსტრუქციო შენობის მესაკუთრის, შ.პ.ს. "სალხინო 93"-ის დირექტორის თანხმობა ასევე უნდა გაიცეს აღნიშნული სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობასთან დაკავშირებითაც.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.